

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

10._08_.2015 წელი

2 ეგზ.

შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 16/105

2013 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1	შემოკლებანი:.....	3
2	შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
3	აუდიტის მიზანი და მასშტაბი	5
4	საქმიანობის მოკლე მიმოხილვა.....	6
5	სახელმწიფო შესყიდვები	9
5.1	სამშენებლო - სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.....	9
5.2	სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა	10
6	სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯები.....	12
7	დებიტორული დავალიანება.....	13
8	ბათუმის სასწრაფოს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობები	14
9	აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	15

1 შემოკლებანი:

შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“ - ბათუმის სასწრაფო;

2 შემაჯამებელი მიმოხილვა

ქვემოთ მოკლედ წარმოდგენილია აუდიტის ძირითადი შედეგები:

სახელმწიფო შესყიდვები

- შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ მიერ ადმინისტრაციული შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის, სამშენებლო-სარეაბილიტაციოს სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ორ შემთხვევაში, არასრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტით გამოცხადებული იქნა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, საერთო ღირებულებით 80 000 ლარი.
ამავე შესყიდვის პროცესში პრეტენდენტს ფასების ცხრილი წარდგენილი ჰქონდა 1469 ლარით მეტი თანხით. კერძოდ, მის მიერ დაფიქსირებულია, რომ სამუშაოების ღირებულების ჯამი შეადგენს 32 999 ლარს, ხოლო რეალურად, ცალკეულ სამუშაოთა ღირებულების ჯამი შეადგენს 34 468 ლარს, რომელთან დაკავშირებითაც შემსყიდველის მიერ რეაგირება არ განხორციელებულა. (იხ. გვ9)
- შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ მიერ სასწრაფო დახმარების მაღალი გამავლობის 4 ერთეული სატრანსპორტო საშუალების შესყიდვის მიზნით, გამოცხადებული იქნა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, სავარაუდო ღირებულებით 180 000 ლარი. სატენდერო პირობების განსაზღვრა და შემდგომში მასში ცვლილებების შეტანა განხორციელებულია კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსაბამოდ. (იხ. გვ.10)

სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯები

- შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს“ 2013 წლის განმავლობაში საკუთრებაში ჰქონდა 23 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელზედაც წლის განმავლობაში სათადარიგო ნაწილების და შესაბამისი სარემონტო სამუშაოებისათვის გახარჯულია 34 953 ლარი, მათ შორის ვერ იქნა წარმოდგენილი 6 741 ლარის ღირებულების საქონლის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტი. (იხ. გვ12)

დებიტორული დავალიანება

- შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს“ 2013 წლის საბალანსო მონაცემებით დებიტორად აქვს აღრიცხული შპს „ბიოპოლუსი“, რომლის დავალიანება შეადგენს 4316 ლარს. ბათუმის სასწრაფოს მხრიდან, გარდა წერილობითი შეტყობინებებისა, არ განხორციელებულა კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებების გამოყენება თანხის გადახდევინების მიზნით. (იხ. გვ.13)

ბათუმის სასწრაფოს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობები

- შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს“, თავისი მიზნების განსახორციელებლად საკუთრებაში გააჩნია ადმინისტრაციული შენობები ქ. ბათუმში, პუშკინის ქუჩა N154 და დასახლება მახინჯაურში. ბათუმის სასწრაფო ასევე სარგებლობს ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი, ჩიხი 16-ე N7-ში მდებარე 165,5 კვ.მ ფართით, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაა და დღეის მდგომარეობით რაიმე სამართლებრივი ფორმით არ არის გადაცემული ბათუმის სასწრაფოსთვის. (იხ. გვ.14)

რეკომენდაციები

- ბათუმის სასწრაფოს ხელმძღვანელობამ, სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვისას უზრუნველყოს სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისას, რაც ხელს შეუწყობს საკუთარი სახსრების რაციონალურ და ეფექტურ ხარჯვას;
- ბათუმის სასწრაფოს ხელმძღვანელობამ სახელმწიფო შესყიდვებისას, შერჩევა/შეფასების ეტაპზე მეტი ყურადღება დაუთმოს პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულისა და სისწორის შემოწმებას;
- სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავებისას და შემდგომში, მასში ცვლილებების შეტანა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საცხებ-საპოხი და სათადარიგო ნაწილების ბათუმის სასწრაფოს თანამშრომლის მიერ შეცვლის შემთხვევაში, განხორციელდეს შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება (შეცვლის აქტი, სამსახურებრივი ბარათი ან სხვ.), რაც დაადასტურებს როგორც გაწეული ხარჯის მიზნობრიობას, ასევე გააძლიერებს შიდა კონტროლის მექანიზმს;

- ბათუმის სასწრაფოს ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს, დებიტორის მიერ არსებული დავალიანების გადახდის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება;
- ბათუმის სასწრაფოს ხელმძღვანელობამ დასაბუთებული წინადადებით მიმართოს საზოგადოების პარტნიორს, რათა მან მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ქონების გადმოცემისათვის საჭირო პროცედურის დასაწყებად.

3 აუდიტის მიზანი და მასშტაბი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტის ჯგუფმა წარმოადგინოს ანგარიში ორგანიზაციის მიერ მის საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია შესაფერის კრიტერიუმებთან. აუდიტის ჯგუფმა დაწესებულების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრა მოცემული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ხელშეკრულებების და მოცემულ დარგში მოქმედი სტანდარტების საფუძველზე, ასევე სხვა რელევანტური ინფორმაციის გათვალისწინებით.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს ბათუმის სასწრაფოს 2013 წლის დაფინანსების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობები:

1. ადმინისტრაციული ხარჯები;
2. სახელმწიფო შესყიდვები;
3. ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაცემული ხარჯები;
4. დებიტორული დავალიანებების მდგომარეობა.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოებების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბათუმის სასწრაფოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2013 წელს განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. ბათუმის სასწრაფოს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის

სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ბათუმის სასწრაფოს 2013 წლის საქმიანობა არ შეიცავს კრიტერიუმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

4 საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია ქალაქ ბათუმის მერია. საზოგადოების ძირითად საქმიანობის საგანია -

სასწრაფო და გადაუდებელი დახმარება „სასწრაფო დახმარების ბაზისური მედიკამენტების ნუსხით“ და „სასწრაფო სამედიცინო დანიშნულების საგნების ნუსხით“ განსაზღვრული მედიკამენტებით და სამედიცინო საგნებით; მონაწილეობის მიღება სახელმწიფო ღონისძიებებში, სამობილიზაციო მომზადებაში, სამოქალაქო თავდაცვაში და ექსტრემალურ სიტუაციაში - გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; სამედიცინო დახმარება ავადმყოფის ჰოსპიტალიზაციის დროს; გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა კატასტროფების დროს. მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება, რომელიც წარმართავს საზოგადოების საქმიანობას. ბათუმის სასწრაფოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება დირექტორს, რომელსაც 2013 წელს მოქმედი წესდების შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა ქალაქ ბათუმის საკრებულო საკრებულოს ბიუროს წარდგინებით. 2013 წელს ბათუმის სასწრაფოში დასაქმებული იყო სულ 187 თანამშრომელი, მათ შორის: ადმინისტრაცია 18 თანამშრომელი, სამედიცინო პერსონალი 104 თანამშრომელი, მძღოლი 52, ოპერატორი 13. ასევე საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის არსებობდა თანამშრომელთა რეზერვი, შემდეგი ოდენობით: სამედიცინო პერსონალი - 29, მძღოლი - 21, ოპერატორი - 3, სულ რეზერვი 53 თანამშრომელი. 2013 წელს სულ ბათუმის სასწრაფომ გასწია 66 848 გამოძახების შესაბამისი მომსახურება.

შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ 2013 წლის სრულმა შემოსულობებმა შეადგინა 1 896 421 ლარი, კერძოდ: სადაზღვევო დაფინანსებიდან (პროგრამული) 583 512 ლარი, ქალაქ ბათუმის მერიიდან 603 048 ლარი, სახელმწიფო პროგრამით 583 512 ლარი, კერძო სადაზღვევო კომპანიებიდან 10 599 ლარი, საკუთარი შემოსავლებით 115 750 ლარი. ხარჯების ნაწილში ბათუმის სასწრაფოს დანახარჯებმა შეადგინა 2 269 866 ლარი, ხოლო ნაშთი წლის ბოლოს 75 545 ლარი. დანახარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ ცხრილი სახით:

1.	ძირითადი მასალების დანახარჯები	
ა)	მედიკამენტების მასალების ხარჯი	42906.00
ბ)	ტრანსპორტის საწვავის ხარჯი	190111.00
გ)	ავტოტრანსპორტის სათადარიგო ნაწ. ხარჯი	9975.00
დ)	სხვა მასალების დანახარჯები	2107.00
2.	ძირითადი საშუალებების რემონტის დანახარჯები	
ა)	შენობა-ნაგებობების	2274.00
ბ)	ავტოსატრანსპორტო საშუალებების	24978.00

ბ)	სხვა ძირითადი საშუალებების	1705.00
3.	პირდაპირი ხელფასი	1496762.00
4.	ძირითადი საშუალებების ცვეთა	184290.00
5.	კომუნალური ხარჯები	19499.00
6.	სანიტარული დასუფთავების ხარჯი	2362.00
7.	საკანცელარიო ხარჯი	9007.00
8.	სამეურნეო ხარჯი	2883.00
9.	საკომუნიკაციო ხარჯი	11680.00
10.	საფოსტო მომსახურება	61.00
11.	კომპიუტერისა და სხვა ელ. ტექ. რემონტი	965.00
12.	საბიუჯეტო გადასახადის ხარჯი	136.00
13.	ბანკის მომსახურება	4.00
14.	მანქანის რეალიზაციიდან	256613.00
15.	სამივლინებო ხარჯი	608.00
16.	პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	900.00
17.	აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურება	670.00
18.	საჯარო რეესტრის მომსახურება	55.00
19.	ტენდერების ხარჯი	825.00
20.	ჟურნალ-გაზეთების ხარჯი	450.00
21.	ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერით	6640.00
22.	ზარალი სასაქონლო მატერიალური მარაგების ჩამოწერით	1400.00
სულ ჯამი		2269866.00

5 სახელმწიფო შესყიდვები

შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრმა“ 2013 წელს განახორციელა 513 115 ლარის ღირებულების, 148 შესყიდვა. შესყიდვების რაოდენობა მათი საშუალებების მიხედვით მოცემულია ცხრილის სახით:

N	შესყიდვის საშუალება	რაოდენობა
1	კონსოლიდირებული ტენდერი	5
2	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	13
3	გამარტივებული შესყიდვა	130

5.1 სამშენებლო - სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა

კრიტერიუმი: სამშენებლო სამუშაოების მიზნობრივად განხორციელებისათვის და შესაბამისი ფინანსური რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის, აუცილებელია კვალიფიციურად მომზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტის არსებობა, ასევე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, შერჩევა/შეფასების ეტაპზე შესყიდვების კომისია ვალდებულია შეამოწმოს პრეტენდენტის მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური და საკვალიფიკაციო მონაცემების დოკუმენტაციები¹.

გამოვლენილი გარემოება: ბათუმის სასწრაფოს მიერ ადმინისტრაციული შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის, სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ორ შემთხვევაში გამოცხადებული იქნა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი² საერთო ღირებულებით 80 000 ლარი, რომლის შედეგადაც 2013 წლის 7 მაისს გაფორმებული იქნა ხელშეკრულება N61, ღირებულებით 32 999 ლარი და ხელშეკრულება N62, ღირებულებით 22 500 ლარი. ერთ შემთხვევაში ვაჭრობის შედეგად შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შემცირდა 34%-ით, ხოლო მეორე შემთხვევაში 25%-ით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით აღნიშნული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

¹ სახელმწიფოს შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 12-ე მუხლის პირველი პუნქტი;

² SPA130009156, SPA130009129;

მომზადებული იქნა თავად ბათუმის სასწრაფოს მიერ, რომელიც თავის მხრივ არასრულია. მაგალითად, ხარჯთაღრიცხვის 24-ე პუნქტში დაფიქსირებულია „ავტომანქანების სამრეცხაო შენობის მოწყობა (რეკონსტრუქცია)“ თუმცა არ არის დაზუსტებული რა სამუშაოებია შესასრულებელი და რა მოცულობით, ასევე არ არის ცნობილი რა მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდა სამუშაოების განფასება.

ამავე შესყიდვების ფარგლებში, ერთ შემთხვევაში ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 50 000 ლარით, თუმცა ვაჭრობის რაუნდების დასრულების შემდგომ, აღნიშნული თანხა შემცირდა 32 999 ლარამდე. შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი იქნა პრეტენდენტის მიერ ფასების ცხრილის დაზუსტება ახალ თანხაზე, თუმცა წარდგენილი ცხრილის მიხედვით ცალკეული სამუშაოების ღირებულებების ჯამი შეუსაბამობაშია ამავე სამუშაოების საერთო ჯამთან. კერძოდ, ფასების ცხრილში დაფიქსირებულია, რომ სამუშაოების ღირებულების ჯამი შეადგენს 32 999 ლარს, ხოლო რეალურად ცალკეულ სამუშაოთა ღირებულების ჯამი შეადგენს 34 468 ლარს, ანუ პრეტენდენტს ფასების ცხრილი წარდგენილი აქვს 1 469 ლარით მეტი თანხით, რაც შესაძლოა დისკვალიფიკაციის საფუძველი ყოფილიყო, თუმცა შემსყიდველს არ მიუქცევია სათანადო ყურადღება, რაც შიდა კონტროლის სისტემაზე მიუთითებს. აღნიშნულ ფაქტს ხელშეკრულების შესრულებაზე ზეგავლენა არ მოუხდენია, სამუშაოები მიმწოდებლის მიერ შესრულებული იქნა სრულად, ხოლო შემსყიდველის მიერ, შესაბამისი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, დაფინანსებული იქნა 28 707 ლარი.

რეკომენდაცია

- ბათუმის სასწრაფოს ხელმძღვანელობამ, სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვისას უზრუნველყოს სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, რაც ხელს შეუწყობს საკუთარი სახსრების რაციონალურ და ეფექტურ ხარჯვას;
- ბათუმის სასწრაფოს ხელმძღვანელობამ სახელმწიფო შესყიდვებისას, შერჩევა/შეფასების ეტაპზე მეტი ყურადღება დაუთმოს პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულისა და სისწორის შემოწმებას.

5.2 სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა

კრიტერიუმი: იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება ნაკლებია 200 000 ლარზე, ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის მოთხოვნა

დაუშვებელია³. სატენდერო კომისიას უფლება აქვს, შეცვალოს ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაცია, გარდა შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტებისა და სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებისა. ეს ცვლილებები უნდა განთავსდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე არა უგვიანეს 5 დღისა⁴.

გამოვლენილი გარემოება: ბათუმის სასწრაფოს მიერ სასწრაფო დახმარების მაღალი გამავლობის 4 ერთეული სატრანსპორტო საშუალების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული იქნა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი⁵. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განსაზღვრული იყო 180 000 ლარით. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, გამარჯვებულ პრეტენდენტს ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოედგინა ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომლის ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების დასრულების ვადას. კანონმდებლობის თანახმად კი იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება ნაკლებია 200 000 ლარზე, გარანტიის ან დაზღვევის მოთხოვნა დაუშვებელია. აღსანიშნავია, რომ სატენდერო კომისიის 2013 წლის 4 აპრილის სხდომის N3 ოქმით, კომისიამ გამარჯვებულს თხოვა საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა ყოფილიყო 2013 წლის 13 აგვისტომდე. აღნიშნული ქმედებით, კომისიამ ფაქტობრივად შეცვალა სატენდერო დოკუმენტაცია, რისი უფლებაც მას არ გააჩნდა, რადგანაც იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანა შესაძლებელი იყო მხოლოდ წინადადებების მიღების დასრულების ეტაპამდე 5 დღით ადრე.

რეკომენდაცია

- სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავებისას და შემდგომში, მასში ცვლილებების შეტანა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

³დარღვეულია სახელმწიფოს შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტი;

⁴„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის მე-9 პუნქტი;

⁵ SPA130007172;

6 სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯები

კრიტერიუმი: შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით⁶ დანიშნული იქნა ავტოტექნიკური ზედამხედველი, რომლის ფუნქციებშიც შედიოდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილების ყოველდღიური დათვალიერება და მათი გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა, ასევე საჭიროების შემთხვევაში შეძენილი სათადარიგო ნაწილების შეცვლა. აღნიშნული მომსახურების გაწევა ვერ დასტურდება წერილობითი დოკუმენტით, რითაც დადასტურდებოდა სათადარიგო ნაწილების მიზნობრივი ხარჯვა.

გამოვლენილი გარემოება: შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს“ 2013 წლის განმავლობაში საკუთრებაში ჰქონდა 23 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელზედაც წლის განმავლობაში სათადარიგო ნაწილებისათვის და შესაბამისი სარემონტო სამუშაოებისათვის გახარჯულია 34 953 ლარი. შესაბამისი ხარჯის გაწევის აუცილებლობისათვის წარმოდგენილია დეფექტური აქტები, რომლებიც ავტორიზირებულია მინიმუმ ორი პირის მიერ, მათ შორის ავტოტექნიკური ზედამხედველის მიერ, რომელსაც ევალებოდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილების ყოველდღიური დათვალიერება და მათი გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა, ასევე საჭიროების შემთხვევაში შეძენილი სათადარიგო ნაწილების შეცვლა. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალებების მომსახურება (საცხებ-საპოხი მასალების, ხუნდების, ფილტრების შეცვლა და სხვ.) განხორციელდა ავტოტექნიკური ზედამხედველის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურებისათვის წარმოდგენილია დეფექტური აქტები, თუმცა თანამშრომლის მიერ შესრულებულ სამუშაოზე, რომელიც დაადასტურებდა შეძენილი მასალების მიზნობრივ ხარჯვას, ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე სახის წერილობითი დოკუმენტი (სამსახურეობრივი ბარათი, შეცვლის აქტი ან სხვ.). წერილობითი დოკუმენტის გარეშე გახარჯული 6 741 ლარის ღირებულების შესყიდული საქონელი.

რეკომენდაცია

- ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საცხებ-საპოხი და სათადარიგო ნაწილების ბათუმის სასწრაფოს თანამშრომლის მიერ შეცვლის შემთხვევაში, განხორციელდეს შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება (შეცვლის აქტი,

⁶ 2012 წლის 7 ივნისის ბრძანება N24;

სამსახურებრივი ბარათი ან სხვ.), რაც დაადასტურებს როგორც გაწეული ხარჯის მიზნობრიობას, ასევე გაამდიერებს შიდა კონტროლის მექანიზმს.

7 დებიტორული დავალიანება

კრიტერიუმი: ბათუმის სასწრაფოს ხელმძღვანელობა ვალდებულია გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ყველა სამართლებრივი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს მოვალისაგან არსებული დავალიანების დაფარვას.

გამოვლენილი გარემოება: ბათუმის სასწრაფოს 2013 წლის საბალანსო მონაცემებით, შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს“ დებიტორად აქვს აღრიცხული შპს „ბიოპოლუსი“, რომლის დავალიანება შეადგენს 4316 ლარს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დავალიანება წარმოშობილია 2010 წელს ცენტრსა და შპს „ბათფარმას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, სარეკლამო მომსახურების შესახებ. 2011 წლის 30 დეკემბერს ბათუმის სასწრაფოს, შპს „ბათფარმასა“ და შპს „ბიოპოლუსს“ შორის, რომლებსაც წარმოადგენდნენ მთავარი ბუღალტრები, გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც შპს „ბიოპოლუსმა“ აიღო ვალდებულება აანაზღაუროს შპს „ბათფარმას“ ვალდებულება შპს „ქ.ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ მიმართ. აღნიშნული სამმხრივი შეთანხმების გაფორმებიდან მეორე დღეს, 31 დეკემბერს, შპს „ბიოპოლუსსა“ და შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს“ შორის გაკეთდა შედარების აქტი, რომლითაც დგინდება, რომ 31.12.2011წ. მდგომარეობით დავალიანება შეადგენს 4315.75 ლარს. აღნიშნული შეთანხმებიდან 2015 წლის 17 ივლისის მდგომარეობით, ბათუმის სასწრაფომ სხვადასხვა პერიოდში 6-ჯერ მიმართა წერილით⁷ შპს „ბიოპოლუსს“, მათ შორის ასევე შეთავაზებულ იქნა გადახდა გრაფიკის მიხედვით, თუმცა მოვალის მხრიდან არ არის განხორციელებული რაიმე სახის ღონისძიება ვალის გადახდის მიზნით. აღნიშნული გარემოება კი ქმნის იმის რისკს, რომ მოვალე თავს არიდებს თანხის გადახდას და შესაბამისად საჭიროა სხვა სამართლებრივი ბერკეტების გამოყენება.

⁷ წერილები - 14.09.2012წ. - N255; 21.12.2012წ. - N317; 06.02.2013წ. - N37; 14.11.2013წ - N238; 25.09.2014წ. - N140; 15.04.2015წ. - N32;

რეკომენდაცია

- ბათუმის სასწრაფოს ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს, დებიტორის მიერ არსებული დავალიანების გადახდის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება.

8 ბათუმის სასწრაფოს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობები

კრიტერიუმი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების სხვა პირისათვის გადაცემა უნდა განხორციელდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

გამოვლენილი გარემოება: შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს“, თავისი მიზნების განსახორციელებლად საკუთრებაში გააჩნია ადმინისტრაციული შენობები ქ. ბათუმში, პუშკინის ქუჩა N154 და დასახლება მახინჯაურში. ბათუმის სასწრაფო ასევე სარგებლობს ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი, ჩიხი 16-ე N7-ში მდებარე 165,5 კვ.მ ფართით, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაა და დღეის მდგომარეობით რაიმე სამართლებრივი ფორმით არ არის გადაცემული ბათუმის სასწრაფოსათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით ბათუმის სასწრაფოს დირექტორმა წერილით⁸ მიმართა ქალაქ ბათუმის მერიას შენობის გადმოცემასთან დაკავშირებით, თუმცა დღეის მდგომარეობით ვითარება არ შეცვლილა. ბათუმის სასწრაფოს ინფორმაციით, აღნიშნულ შენობაში განლაგებულია სასწრაფოს ბრიგადები, რომლებიც ემსახურება როგორც ქალაქ ბათუმის, ასევე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მყოფ მოსახლეობას.

რეკომენდაცია

- ბათუმის სასწრაფოს ხელმძღვანელობამ დასაბუთებული წინადადებით მიმართოს საზოგადოების პარტნიორს, რათა მან მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ქონების გადმოცემისათვის საჭირო პროცედურის დასაწყებად.

⁸ 2013 წლის 14 აგვისტოს წერილი N171;

9 აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უშუალოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, ასევე სასამართლოში.

აუდიტის ჯგუფის წევრები:

აუდიტის ჯგუფის ხელმძღვანელი:

ირაკლი ანანიძე
უფროსი აუდიტორი

ირაკლი ანანიძე

გურამ დუმბაძე
უფროსი აუდიტორი

გურამ დუმბაძე

რამაზ დიასამიძე
აუდიტორ-ასისტენტი

რამაზ დიასამიძე

10.08.2015წ.